ხაშურის მოამბე

№27(351) 25 ივლისი, ორშაბათი, 2022 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტში იუსტიციის სამინისტროს ყველა სერვისი იქნება ხელმისაწვდომი

იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მოქალაქეთათვის სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის კიდევ უფრო გაუმჯობესებაა. ამ მიზნით იუსტიციის მინისტრი, ხაშურში, მოადგილეებთან ერთად იმყოფებოდა. უკვე წლის ბოლოსთვის, ხაშურის მოსახლეობა იუსტიციის სახლის 470-მდე სერვისით სარგებლობას შეძლებს.

„ - ხაშურელებს არაერთი სასიამოვნო სიახლე გავაცანით. პირველ რიგში, იუსტიციის სახლი, რომლის მშენებლობის პროცესი არის სრულად განახლებული. წლის ბოლოსთვის მომხმარებელს ექნება შესაძლებლობა, რომ მიიღოს ყველა

სახის სახელმწიფო მომსახურება ერთ სივრცეში მისთვის ჩვეულ, კომფორტულ გარემოში, როგორსაც ის არის მიჩვეული მთელი საქართველოს მასშტაბით. ხაშურში, ასევე, განვათავსეთ „პრობბოქსი“, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს დამნაშავის რესოციალიზაციას. ასევე, გავხსენით მედიაციის სივრცე, რომელიც მნიშვნელოვანია საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარებისთვის“,– განაცხადა იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ.

რატი ბრეგაძის ინიციატივით, ხაშურის იუსტიციის სახლის მშენებლობა ახალ ეტაპზე გადავიდა. სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს და მას ახალი კომპანია აგრძელებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტს იუსტიციის სახლის ახალი ფილიალი წლის ბოლოსთვის შეემატება. იუსტიციის სახლში 18 პირი დასაქმდება. მომსახურების დარბაზის გარდა, ახალ ფილიალში თანამედროვე ინტერიერის მქონე საქორწინო-სარიტუალო სივრცეც მოეწყობა. შენობაში იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების

ოფისებიც განთავსდება, რომლებიც ამ დრომდე მოძველებულ ინფრასტრუქტურაში ფუნქციონირებენ.

რატი ბრეგაძე ხაშურის პრობაციის ბიუროში გახსნილ მედიაციის ახალ სივრცესაც ეწვია, სადაც მედიაციის პროცესის საჭიროებები სრულად არის გათვალისწინებული. მხარეებისთვის

უზრუნველყოფილია კომუნიკაციისა და მოლაპარაკების წარმოებისთვის ყველა საჭირო პირობა. სათანადოდ აღჭურვილ სივრცეში მედიატორებს დაკისრებული მოვალეობის შესრულება გაუმარტივდებათ. ამ დრომდე რეგიონში მედიაციის სივრცე არ არსებობდა, რის გამოც პროცესის წარმართვისთვის სხვა სივრცის მოძიება ხდებოდა საჭირო.

მედიაცია დამზარალებელსა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტის ამოწურვას ემსახურება. ის აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს ეყრდნობა და ორიენტირებულია ადამიანებზე, დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირის ჩართულობაზე, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებასა და დაკმაყოფილებაზე.

იუსტიციის სამინისტრო აქტიურად იყენებს მედიაციის მექანიზმს. ის არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ფორმაა, რომელიც დამნაშავეებს პატიმრობის ნაცვლად რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებებში ჩართვას სთავაზობს; მედიაციის მექანიზმის წარმატებით მუშაობაზე კი, მეტყველებს ის, რომ 2021 წლის განმავლობაში მედიატორის გამოყოფაზე 596 მიმართვა დაფიქსირდა, საიდანაც კანონთან კონფლიქტში მყოფ 389 ბავშვთან მედიაციის პროცესი წარმატებით დასრულდა.

ამ დროისთვის მედიაციის სივრცეები თბილისში, ქუთაისსა და ხაშურში მოქმედებს; წლის ბოლომდე კი, ოზურგეთშიც გაიხსნება.

იმ დღესვე პრობაციონერებისთვის შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიური მოწყობილობა „PROBBOX“, იუსტიციის სახლების გარდა, პირველად, ალტერნატიულ სივრცეში – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსდა. ტექნოლოგიურ მოწყობილობაში ყველა ის სერვისია ინტეგრირებული, რომელთა სარგებლობისთვისაც პრობაციონერებს აქამდე პრობაციის ბიუროებში სჭირდებოდათ მისვლა.

„პრობბოქსის“ სერვისებს შორისაა: შეთავაზებები დასაქმების შესახებ,ინფორმაცია პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე,განაცხადის წარდგენა რეჟიმის შემსუბუქების მოთხოვნაზე, პრობაციის ოფიცერთან კომუნიკაცია და მსჯავრდებულთან ვიდეოპაემნის დაჯავშნა.

პრობაციონერებს „პრობბოქსით“ სარგებლობა ამ დროისთვის 7 მუნიციპალიტეტში შეუძლიათ. მოწყობილობა ბათუმის, ქუთაისის, თბილისის, თელავის, გორისა და ზუგდიდის შემდეგ ხაშურის მუნიციპალიტეტშიც არის ხელმისაწვდომი; ეტაპობრივად კი, მთელი ქვეყნის მასშტაბით განაწილდება.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25)

მჭედელი ვალიკო რევაზიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო დეპოს კოლექტივში, რომელმაც სტახანოველის სახელი მოიპოვა. მან საკავშირო რეკორდი დაამყარა და მიცემული გეგმა 1200%-ით შეასრულა.

სტახანოველთა რიგებში იდგა ალ. ჩაუჩიძეც, რომელიც ვერ ლაპარაკობდა. მუნჯი იყო, მაგრამ ყოველთვის წარმატებით ასრულებდა მიცემულ დავალებებს და გზათა სახალხო კომისრისგან – ბაკულონისგან საათიც დაიმსახურა ჯილდოდ.

სტახანოველმა მემანქანეებმა ვ. მიქაძემ და გ. გელაშვილმა ელმავლის რემონტში ჩაუყენებლად, განსაზღვრულ 12 ათასი კილომეტრის ნაცვლად, გაირბინეს 150 000 კილომეტრი. აიღეს ვალდებულება ელმავლის რემონტში ჩაუყენებლად გაერბინათ 200 000 კილომეტრი.

1938 წელს, კომკავშირის 20 წლისთავისადმი გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაებნენ ელდეპოს კომკავშირლები და შეჯიბრებაში გამოიწვიეს. თბილისის საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრდები. შეჯიბრში ჩაბმული იყო 152 კომკავშირელი და 15 კავშირგარეშე ახალგაზრდა. კომკავშირულ ბრიგადებს შორის ფართოდ გაიშალა შეჯიბრება.

ელმავალ №10-02-ზე მომუშავე კომკავშირელმა მემანქანეებმა: გ. ლაბაძემ, ვ. მიქაძემ, ნ. კახურაშვილმა და მემანქანის თანაშემწეებმა ე.ჯაფარაშვილმა, დ. ბაკურაძემ და ცხოვრებაშვილმა ვალდებულება აიღეს, რომ თავიანთი ელმავლებით ურემონტოდ და უავარიოდ გაერბინათ 200 000 კილომეტრი. ვალდებულების აღების მომენტში კი მათ 6 000 ნაცვლად, 167 000 კილომეტრი ჰქონდათ გარბენილი.

ელმავალმა №11-03, რომელზეც კომკავშირელი მემანქანეები მ. შიუკაშვილი, კ. სიდიროპულოვი, ვ. აბაიაძე და ვ. კაკაბაძე მუშაობდნენ 6000 მაგიერ, უმარცხოდ გაირბინეს 117 000 კილომეტრი.

12 ივლისს ადგილობრივი გაზეთი წერდა: „საერთოდ ელდეპოში თვალსაჩინოდ გაიზარდა ახალგაზრდა სტახანოველთა რიგები. ლენინური კომკავშირის 152 წევრიდან 136 სტახანოველია, კავშირგარეშე 15 ახალგაზრდიდან კი–7;

კომკავშირელი მ. შიუკაშვილი გეგმებს ყოველთვის 190%-ს აჭარბებს, ჭყოიძე კი 142-ს. დეპოს სარევიზიო საამქროს ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირის წევრი ვ. ქურდაძე ხელმძღვანელობს, მაისის თვის გეგმა 340 პროცენტით შეასრულა. არის სხვა მრავალი ახალგაზრდა, რომელიც ზრდის შრომის ნაყოფიერებას და გვიჩვენებს მუშაობის შესანიშნავ ნიმუშს“.

ხაშურელ რკინიგზელთა შრომითი მიღწევები მალე მთავრობის ჯილდოებითაც აღინიშნა. კომკავშირელმა სერგო კურტანიძემ ელმავალზე სტახანოვური და კრივონოსული მუშაობისთვის მიიღო დამსახურებული ჯილდო – საპატიო ნიშნის ორდენი. ოსტატი კაპიტონ მიქაშავიძე კი გზათა სახალხო კომისრის მიერ დაჯილდოებულ იქნა სტალინური გაწვევის ნიშნით.

სტახანოველთა რიგების ზრდას ხელს უწყობდა ტექდაუფლების წრეების ნაყოფიერი მუშაობა. 47 კაცმა, რომლებმაც გაირეს კვალიფიკაციის ამაღლების კურსი დაეუფლენ ტექნიკას, დეპოშივე დაწინაურებული იქნა საპასუხისმგებლო სამუშაოზე.

1938 წელს, რკინიგზელთა საკავშირო დღეს – 30 ივლისს თვალსაჩინო მაჩვენებლებით შეხვდნენ რკინიგზის ხაშურის კვანძის წარმოება-დაწესებულებები, მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ელდეპოს პერიოდული საამქროს მექანიკურმა საკომპლექსო ბრიგადამ ოსტატ კ. მიქაშავიძის ხელმძღვანელობით ივლისის თვის გეგმა 237%-ით შეასრულა. ელმავლების ამწევი საამქროს პერსონალმა გეგმას 175 პროცენტით გადააჭარბა. კრივონოსელმა მემანქანეებმა კ. მოწონელიძემ, ვ. გელაშვილმა, ევ. ხაჩიძემ და სხვებმა ვალდებულება აიღეს 77 000 კილომეტრის ურემონტოდ გარბენა. მათ ნაკისრი ვალდებულება ვადაზე ადრე შეასრულეს. ახალგაზრდა მემანქანეებმა გ. აბაიაძემ, ნ. გოგალაძემ, ქ. დიდებულიძემ და სხვებმა თბილისიდან ხაშურის უბანზე თითო წევით ამოიყვანეს 2700 ტონიანი მატარებლები.

ყოველთვიურ საწარმოო გეგმებს 151%-ით ასრულებდა სამექანიკო საამქროს კოლექტივი. ოსტატის ლ. ქვირიას და ბრიგადირ ვ. მაცხონაშვილის ხელმძღვანელობით საამქრომ ივლისის თვის გეგმა 165 პროცენტით შეასრულა. აქ სტახანოველი იყო 146, ხოლო დამკვრელი 10 მუშა-მოსამსახურე.

ელდეპოს მემანქანეები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვას და არაერთხელ გადაურჩენიათ შემადგენლობა მოსალოდნელი ავარიისგან. ელმავლის მემანქანე ს. ჯაფარაშვილი გარბენის ნორმებს ყოველთვის 275 პროცენტით ასრულებდა. მას მუშაობაში არ ჰქონდა წუნი და ავარია. მან 10 ივლისს ზესტაფონიდან ელმავლით მატარებელი წამოიყვანა. ძირულაში ის დაკავებულ ლიანდაგში მიიღეს. ეს შეამჩნია ს. ჯაფარაშვილმა, მატარებელი ავარიას გადაარჩინა და ქვეყანას დიდი ზარალი ააცილა ( ).

მემანქანე ხ. პოპოვი, როცა მას მატარებელი მიჰყავდა ხაშურიდან თბილისში, კავთისხევში დაკავებულ ლიანდაგში მიიღეს. ფხიზელმა მემანქანემ ეს შეამჩნია და მატარებელი ავარიას გადაარჩინა. ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსმა ხ. პოპოვს და ელდეპოს პირადად გამოუცხადა მადლობა.

ხაშურის ელდეპოში 6 კომკავშირული ბრიგადა მუშაობდა ელმავლებზე, 116 ახალგაზრდა სტახანოველი იყო.

ელმავალ №11-03-ზე მომუშავე კრივონოსელმა მემანქანეებმა მ. შიუკაშვილმა, ა. ჭყოიძემ, ვ. კაკაბაძემ ახალგაზრდობის 24-ე საერთაშორისო დღისათვის ყოველგვარი რემონტისა და წუნის გარეშე ელმავლით გაიარეს 85 000 კილომეტრი.

მ. შიუკაშვილმა, რომელიც ჩაბმული იყო კომკავშირის შექმნის 20-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო სოცშეჯიბრებაში, ურემონტოდ 6000 კილომეტრის ნაცვლად 60 000 კილომეტრი გაირბინა და გეგმა 1000%-ით შეასრულა. მანვე თავისი თანაშემწე გ. იკაშვილი მემანქანედ მოამზადა, რომელიც 19 აგვისტოდან დამოუკიდებლად მართავდა ელმავალს.

საწარმოო გეგმების შესრულების სარეკორდო მაჩვენებლები მოგვცეს ახალგაზრდა მემანქანეებმა: გ. ლაბაძემ, კ. მიქაძემ და ნ. კახურაშვილმა. მათ, რემონტის გარეშე, ელმავალი №10-02-ით გაირბინეს 185 000 კილომეტრი. ამავე ბრიგადას აღებული ჰქონდა ვალდებულება კომკავშირის მე-20 წლისთავისათვის ხაშურიდან ზესტაფონამდე ჩაეყვანა მშრალტვირთიანი მატარებელი 1500 ტონის რაოდენობით, ნაცვლად 1200 ტონისა.

ელდეპოს პერიოდული საამქროს თანამშრომელი ვ. ელიაშვილი გეგმებს მუდმივად 200%-ით ასრულებდა.

ემანქანეებმა: კ. მიქაძემ, ნ. კახურაშვილმა, თანაშემწეებმა: ქალიაშვილმა, გაგლოშვილმა და დ. ბაკურაძემ ოქტომბრის თვეში წარმატებით გაანაღდეს აღებული ვალდებულება – ურემონტოდ, უავარიოდ და გრაფიკის ზუსტი დაცვით 200 000 კილომეტრის ნაცვლად გაირბინეს 200 - 376 კილომეტრი.

იმავე მემენქანეებმა ნოემბრის თვეში, რემონტში, ელმავლის ჩაყენების გარეშე, ნორმად დაწესებული 8000 კილომეტრის ნაცვლად გაირბინეს 200 000 კილომეტრი.

უფროსი მემანქანე გიორგი ლაბაძე საპატიო რკინიგზელის ნიშნით დაჯილდოვდა. მოგვიანებით გ. ლაბაძე დაჯილდოვდა „შრომის წითელი დროშის ორდენით“ და დეპოს უფროსის მოადგილედ დააწინაურეს.

1939 წლის 1 მაისისათვის ელდეპოს შემკეთებელმა საამქრომ შრომის ნაყოფიერება გაზარდა 271%-მდე, პერიოდულმა საამქრომ – 223%-ით, ხოლო დაამხმარე საამქრომ – 377.

სათანადო ყურადღება ექცეოდა გამოგონებებსა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას. 1939 წელს შემოსული იყო 25 წინადადება. საუკეთესო რაციონალიზატორები იყვნენ კვაჭაძე, ქართველიშვილი, ინასარიძე და გაგნიძე. მათი გამოგონებები და რაციონალიზატორული წინადადებები გამოირჩეოდნენ მაღალი ეფექტიანობით, რაც ათასობით მანეთის ეკონომიას აძლევდა სახელმწიფოს.

მიღწეული წარმატებებისათვის, 1940 წლის ივლისში, ელდეპოს მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივს (უფროსი დ. კაკაბაძე) გადაეცა გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

მოწინავე რკინიგზელებმა: ს. ბათიევმა, ნ. კახურაშვილმა, ნ. ტუროვმა, ვ. მიქაძემ, მ. კაპანაძემ, ბ. კალმახელიძემ, აგრ. ლომიძემ, ვ. გოზალოვმა, ვ. ქორიძემ და სხვებმა მიიღეს „საპატიო რკინიგზელის“, „სტალინური გაწვევის დამკვრელის“ ნიშნები და გზათა სახალხო კომისრის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობითი საათები.

1940 წელი ელდეპოს კოლექტივმა დიდი წარმატებით დაამთავრა. უკვე 15 დეკემბრისათვის საწარმოს მაჩვენებლები ასეთი იყო:

ელმავლების გარბენის გეგმა შესრულებული იყო 120%-ით, ტვირთზიდვის გეგმა – 117%-ით, ავადმყოფი ელმავლების რიცხვი ნორმასთან შედარებით შემცირებული იყო 21%-ით, ტექნიკური სიჩქარე კი გადიდებული იყო 5%-ით.

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 180%-მდე.

ელმავლების დიდი ნაწილი სამეურნეო ანგარიშზე იყო გადაყვანილი. წარმატებით მუშაობდნენ მემანქანეები: ვ. ფრანჩუკი, ნოზაძე, გელაშვილი, კევლიშვილი და სხვები. ნოზაძემ 10 000 კილომეტრით გადააჭარბა ელმავლების გარბენის გეგმა და 4500 მანეთის ეკონომია გააკეთა. მთლიანად დეპომ კი 143 ათასი მანეთის ეკონომია გააკეთა ელმავლების რემონტზე.

ამ დროისათვის დეპოს მუშაკთა 77% სტახანოველი იყო.

1941 წლის დასაწყისიდან ელდეპოს თანამშრომლები ჩებნენ საკ კპ (ბ) მე-18 პარტკონფერენციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-20 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეიქმნა მე-18 პარტკონფერენციის სახელობის ელმავალთა კოლონა, რომელშიც ჩაბმულნი იყვნენ მემანქანეები: ვ. ფრანჩუკი, კ. გველესიანი, შ. კაპანაძე, ნ. კახურაშვილი, გ. აბაიაძე, ვ. მიქაძე, გ. რიჟამაძე, ა. მანჯავიძე, მაღლაკელიძე, მ. შიუკაშვილი, გ. მეგრელიშვილი, ვ. გოცირიძე, ს. ხვედელიძე და სხვები სულ სოცშეჯიბრებაში ჩაბმული იყო 200 თანამშრომელი. დეპოს კრივონოსელ-სტახანოველი თანამშრომლები ყოველდღიურად წარმატებით ასრულებდნენ საწარმოო გეგმებს. მარტო იანვრის პირველი ხუთი დღის განმავლობაში ავადმყოფ ელმავალთა პროცენტები დაყვანილ იქნა 0,8%-მდე( ).

სტახანოვური მოძრაობა წარმატებით ვითარდებოდა ენერგომომარაგების ხაშურის უბნის მუშა-მოსამსახურეებშიც. დღითიდღე იზრდებოდა მათი რიცხვი. 1938 წლის 30 ივლისისთვის აქ 284 მუშიდან 164 სტახანოველი და 46 დამკვრელი იყო.

1941 წლის 22 იანვრისთვის ქვესადგურმა თვიური გეგმა 150%-ით შეასრულა.

წარმატებას აღწევდა მუშაობაში რკინიგზის ხაშურის მე-5 სალიანდაგო დისტაციის კოლექტივი, რომლის გარჯაც 1940 წლის ივლისში გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშით აღინიშნა. თანამშრომელთა ერთ ნაწილს გადაეცა მთავრობის ჯილდოები.

დისტანციის უფროსი კ. ნაგორნი ამ დროს დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის ორდენით“.

რკინიგზის კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის დისტანცია ყოველთვის გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად ასრულებდა წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმებს.

1940 წელს წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულება წარმატებით გაანაღდა დისტანციამ. 26 ოქტომბრის ცნობით დისტანციას 942 კილომეტრი სადენის ნაცვლად, შედუღებული ჰქონდა 1020 კილომეტრი სადენი, სატელეფონო ხაზი 125 კმ-ის ნაცვლად შეკეთებული იყო 134 კილომეტრზე, ხოლო 341-ის ნაცვლად დადგმული იყო 378 სატელეფონო ბოძი.

კოლონა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ორჯონიკიძე, საწარმოო გეგმებს სისტემატურად ასრულებდა 250%-ით და ფლობდა დისტანციის გარდამავალ წითელ დროშას.

სიგნალიზაციის უფროსმა ელექტრომექანიკოსმა კ. ფრანგიშვილმა ოქტომბრის თვეში 5-ის ნაცვლად 20 საისრო აპარატი გამოუშვა, სახელოსნომ კი 500-ის ნაცვლად 700 კვერთხის მიმწოდებელი რგოლი.

დისტანციამ პირველი ადგილი მოიპოვა ამიერკავკასიის რკინიგზის დისტანციებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ეხმარებოდა ჩამორჩენილ დისტანციებს. ბაქოსა და სამტრედიის დისტანციების დახმარების მიზნით სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზის შესაკეთებლად გაგზავნილი იყო ორი კოლონა.

საერთოდ, 1940 წლის საწარმოო გეგმები დისტანციამ სამი კვარტლის მანძილზე შეასრულა. სატელეფონო აპარატების შეკეთების წლიური გეგმა შესრულდა 340%-ით, საისრო აპარატების გამოცვლისა - 300, სატელეგრაფო აპარატების კაპიტალური შეკეთების - 200 და კვერთხების მიმწოდებელი რგოლების - 140%-ით.

სტახანოველი ელექტრომექანიკოსი მ. ყიფიანი, რომელსაც მიღებული ჰქონდა „სტალინური გაწვევის დამკვრელის“ ნიშანი, დაჯილდოვდა მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, ი. ქალიაშვილი - „საპატიო რკინიგზელის ნიშნით“, ბლუაშვილი -„სტალინური გაწვევის დამკვრელის“ ნიშნით.

უფროსმა მექანიკოსმა კ. ფრანგიშვილმა წლიური გეგმა 285%-ით შეასრულა და დისტანციას 500 მანეთის ეკონომია მისცა.

მეორე უფროსმა მექანიკოსმა ყველიაშვილმა წლიური გეგმა 300%-ით შეასრულა.

ხაზის შემკეთებელმა კოლონამ გერმანაშვილის ხელმძღვანელობით 1940 წლის გეგმა 175%-ით შეასრულა, ხოლო ორჯონიკიძის კოლონამ 186%-ით. ეს უკანასკნელი ფლობდა დისტანციის გარდამავალ წითელ დროშას.

მექანიკოსები: ფრონლოვი, ქოჩლაძე, კრასელნიკოვი, ხვედელიძე და არევაძე უწუნოდ, უავარიოდ მუშაობდნენ, ხოლო ელმწერლები: ბუხიანიძე, ხუსკივაძე, რევაზაშვილი, ღონღაძე სამ-სამ აპარატზე მუშაობდნენ.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 16 დადგენილ ებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 21 353.10 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 5 738.2 ათასი ლარი (აქედან ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთი -5 077.7 ათასი ლარი, დელეგირებული 71.9 ათასი ლარი მთავრობს განკარგულებით მიღებული თანხების ნაშთი 588.6 ათასი ლარი).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე განხორციელდა დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა და 2022 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 30 547.31 ათასი ლარით,რაც 9 194.21 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2022 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საკასო შესრულებამ 14 347.0 ათასი ლარი შეადგინა,რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 107,8% ხოლო წლიური გეგმის 53,9%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების გეგმის შესრულებას ცალკეული სახეობების მიხედვით, შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში გადასახადების გეგმა შესრულდა 109,9% (10 584.6 ათასი ლარი), მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი - 101%-ით, საწარმოთა ქონების გადასახადი - 212,58%-ით, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი -9,13% ,სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი -20,25% არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი - 4,02%.

სხვა შემოსავლების გეგმა შესრულდა - 140%-ით (1 155 584 ათასი ლარი), მათ შორის: რენტა - 64%-ით, მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 87,38%ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 63,6 %-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან - 113,75%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა შესრულდა 57,55%-ით.

2022 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 12,92%-ს (2 606.8 ათას ლარს), „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 250,0 ათასი ლარი, მიღებულია – 124.8 ათასი ლარი.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის 75 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 271 262 ლარი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად. (ნაბახტევში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის, სოფელ ვაყის ხიდიდან ტკოცამდე გზის მოასფალტების (I და II ეტაპი) და სოფელ ცოცხნარამდე და ქემფერამდე გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის 277 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 904 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის 926 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 500 000 ლარი (სოფელ ბულბულისციხეში გზის მოასფალტების სამუშაოებისათვის).

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის 51 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 48 725 ლარი, ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად - 191 669,38 ლარი.

2022 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 11 150.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 46,45%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ექვსი თვის განმავლობაში გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 49.66% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 14,55%), თავდაცვა - 76.04% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0.68%), ეკონომიკური საქმიანობა - 35.05% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 38.01%), გარემოს დაცვა - 62.42% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 6.78%),საბინაო–კომუნალური მეურნეობა –52,55% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 6,33%), ჯანმრთელობის დაცვა -92.75% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 0,44%), დასვენება, კულტურა და რელიგია - 50,82% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში - 14,77), განათლება - 76,95% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში -12,84%), სოციალური დაცვა - 74,50% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში - 6,24%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 76,93%-ით, საქონელი და მომსახურების ხარჯები - 56,81%-ით, სუბსიდიები - 80,31%-ით, გრანტები -22,2%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები -81,28%-ით, სხვა ხარჯები - 37,36%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 33,35%-ით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 დეკემბრის №16 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვრა 30,0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართებლივი აქტების საფუძველზე. 2022 წლის 1 ვილისის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეთით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან განხორციელდა თანხის გამოყოფა 9974,78 ლარის ოდენობით (02.03.2022 84.84220619 ბრძანება) უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დამეგობრებული უკრაინული ქალაქებისათვის ნოვოგრად-ვოლნისკია და ობუხოვისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით.

300 ლარის ოდენობით - (20.04.2022 84.84221103 ბრძანება), უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოსული კიევში მცხოვრები გალინა ზაბრეიკოსათვის დროებითი საყოფაცხოვრები პირობების შესაქმნელად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.

300 ლარის ოდენობით - (20.06.2022 84.842217114 ბრძანება), უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოსული უკრაინაში მცხოვრები ვიქტორ იაკოვლევის და თამარა იაკოვლევას დროებითი საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით.

ლელა მაჭარაშვილი,
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ხაშურში, სამუსიკო სკოლის სკვერის მოწყობა აქტიურად გრძელდება

ამ ეტაპზე სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობს: ეწყობა ვიოლინოს ფორმის შადრევანი, რომელსაც აქვს სატუმბი მოწყობილობა შესაბამისი კონსტრუქციებით.

იგება ბეტონის დაპრესილი ფილა, ეწყობა მოაჯირები, რომლებიც შეიღებება. უკვე დამონტაჟდა განათებები, დაიდგმება დასასვენებელი

სკამები, დაირგვება ხე -მცენარეები.

სკვერს, რომელიც თანამედროვე სტანდარტებით ეწყობა, ორი შესასვლელი ექნება, ერთი იქნება ფორტეპიანოს ფორმის ასასვლელი კიბე, რომელიც მოპირკეთდება სხვადასხვა ფერის ბაზალტის ფილით, ცენტრალური შესასვლელი ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, რათა მოქალაქეებმა თანაბრად შეძლონ მწვანე სივრცეებით სარგებლობა და განტვირთვა. სამუსიკო სკოლის ეზოს კეთილმოწყობის პროექტს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ღირებულება 300 000 ლარს შეადგენს.

ხაშურში, სამუსიკო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა უახლოეს პერიოდში დასრულდება, რის შემდეგაც ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი სივრცე შეემატება გართობისა და დასვენებისთვის.

ქართველი მწერლები - ხაშურში

ხაშური, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, სამკურნალო წყლებითა და ჰავით, საინტერესო ისტორიული წარსულით, უძველესი ტაძრებითა და მონასტრებით, მითებითა თუ ლეგენდებით, ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას.

ჩვენ, ამ წერილით ინფორმაციას მოგაწვდით იმ მწერლებზე, რომლებიც ისტორიულმა გარემოებამ ჩამოაბრძანა ჩვენს რაიონში ან ჯამრთელობისათვის სურამს მიაშურა ან დასასვენებლად ჩვენს რაიონს ეწვია. დიდ ადგილს კი დავუთმობთ ქართველი მწერლებისა და მკითხველთა შეხვედრებს.

პირველად გავიხსენებთ იმ ისტორიულ დოკუმენტს, რომლითაც ვეცნობით ვახტანგ VI-ისა და სულხან საბა ორბელიანის მოღვაწეობას ხაშურის რაიონში. ეს ის დროა, როცა ქართლს გიორგი X მართვადა ანუ XVIII საუკუნის I ნახევარი, როცა სპარსეთი აკონტროლებდა მთელს საქართველოს. მეფე გიორგიმ ირანის შაჰს სთხოვა, იმერეთს გადახვეწილი მისი ძმისწული (ლევან ბატონიშვილის ვაჟი-მ.ხ.) ვახტანგი ქართლში დაებრუნებინა, „ყაენმა სწრაფ მოუწერა ერეკლე მეფესა, რათა მოიყვანოს ვახტანგ ქართლსა და მისცეს ყოველნი საუფლისწულო მამისა თვისისა ლევანისა". ვახტანგი თავდაპირველად ალში გადმოვიდა, აქ შეხვდნენ ერეკლე მეფის წარგზავნილებს,

„შემოჰფიცეს კათალიკოზმან და ლუარსაბ უვნებლობისათვის და ჩავიდა თბილიში. ვახტანგი ერეკლე მეფემ კარგად მიიღო და აცნობა შაჰის გადაწყვეტილება.

ამის შემდეგ, ვახტანგი, სეხნია ჩხეიძის ცნობით, „ხარაგაულიდან, რუსუდანთან და ბაქართან ერთად, უშუალოდ სურამში გადმოვიდა. ამ შემთხვევაშიც შაჰმა წერილი (რაყამი) მოწერა ერეკლე მეფეს, რომელმაც „ისმინა ბრძანება ხელმწიფისა, აახლეს კაცი ბატონიშვილს ვახტანგს. იქავ იმერეთს ხარაგაულს ექნა ქორწილი ჩერქეზის ბატონის ასულს რუსუდანზედა და ესვა ძე ერთი ბაქარ, გადმოვიდა სურამს, შეექმნათ მათ ერთგულთა სიხარული და ორგულთა წყენა" როდესაც ვახტანგ ბატონიშვილი სურამში მამაპაპისეულ საუფლისწულო მამულში დადგა, შემოიკრიბა თავისთან საუკეთესო მწერალ მწიგნობარნი და დიდი სამეცნიერო და კულტურული მუშაობა გააჩაღა. მან სულხან საბასთან ერთად შეადგინა დასტურ-ლამალი, სამართლის წიგნი. შეკრიბა სიგელ-გუჯრები, ქართლის ცხოვრების ხელნაწერები და ნუსხები და შექმნა სწავლულ კაცთა კომისია", რომელსაც ბერი ეგნატაშვილი ჩაუდგა სათავეში, კომისიამ შეძლო, შეევსო დიდი ხარვეზი ქართულ ისტორიოგრაფიაში და შეადგინა „ახალი ქართლის ცხოვრება". ვახტანგის საქმიანობა., რასაც ადგილი ჰქონდა სურამში, ქართველი მეცნიერებისა და კულტურის აღორძინების ხანის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. ეს კი მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ჩვენი რაიონის ცხოვრებაში.

XVIII საუკუნის ოციანი წლები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ქართლის სამეფოსათვის. ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს ოსმალებმა და თბილისი დაიპყრეს. აქედან ჯარი გაგზავნეს ქართლში და ადვილად დაიჭირეს გორი და სურამი. ,ამ არეულობას განერიდა სულხან-საბა ორბელიანი და თავის ძმა ზოსიმესთან ერთად ქვიშხეთს მიაშურა. როგორც მკვლევარი მურად მთვარელიძე წერს: „შესაძლებელია, სულხან-საბა ქვიშხეთში აბაშიძეების ციხე-კოშკში დაბანაკებულიყო. აბაშიძეები სულხანს ნათესავებად ერგებოდნენ. ვახუშტი აბაშიძეს ცოლად ჰყავდა სულხანის მამიდაშვილისა და გამზრდელის ვახტანგ VI-ის ასული ანუკა".

აქ იქმნებოდა სულხან- საბას „სიტყვის კონა". ამის შესახებ მწერლის ძმა ზოსიმე წერს ანდერძში „ამა ზემოხსენებული უფლისა საბას ძმა, არა ღირსი ძმობისა, არამედ მონა მისი ზოსიმე, შევრდომით გევედრები ყოველთა, რომელნი მიემთხვევით ამა ჩემსა მეორედ ნაშრომს სიტყვის კონასა, გონების ღირსი შენდობით მომიხსენიონ ესე ქრისტეს აქეთ ზღვით, აპრილს 5, მოსკოვს, ქალაქში ქორონიკონს ჟ.ი.გ. ამ წიგნის წერა ქვიშხეთს, ქართლს დავიწყეთ და ძველ მოსკოვს გავათავე, თეთრ რუსეთს. თუ არ გავირჯებოდით, ნუ შეგვინდობთ!"

ჩვენთვის დიდად საამაყოა დიმიტრი ყიფიანის თანამემამულეობა, იმ დიმიტრისა, რომელსაც აკაკი წერეთელმა „მეორე დიმიტრი თავდადებული" უწოდა და რომლის ღვაწლიც ფასდაუდებელია საქართველოს სახელმწიფოებრიობის, კულტურის, საზოგადოებრივი ყოფის დაცვისა და განვითარების საქმეში. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ, ცარიზმის ზეობის პერიოდში, იგი იქცა მძლავრ ბურჯად ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, მისაბაძ მაგალითად თანამედროვეთათვის და ზნეობრივ ორიენტირად მომავალი თაობებისათვის.

ქვეყანაში არ გაკეთებულა არცერთი მნიშვნელოვანი საქმე, რომლის ინიციატორი ან მონაწილე არ ყოფილიყო იგი.

1832 წლის შეთქმულების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ სტიმული მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას; აქტიურად იბრძოდა ბატონყმობის გაუქმებისათვის; მის სახელს, უკავშირდება კულტურულ -საგანმანათლებლო საქმიანობის გააქტიურება საქართველოში. პროფესიული ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება, პირველი წიგნსაცავის დაარსება; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნება (სხვა თანამოაზრეებთან ერთად) სხვადასხვა საზოგადოების დაარსება, მათ შორის – ქართული დრამატული თეატრი, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება, მთარგმნელობითი მუშაობის გააქტიურება, „ახალი ქართული გრამატიკის" შექმნა. მან დიდი როლი ითამაშა საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. დიმიტრი ყიფიანი ერთ-ერთ იმ ქართველთაგანია, რომელიც უყოყმანოდ დადგა ქვეყნის სადარაჯოზე მისი ღირსების დასაცავად და საკუთარი სიცოცხლის ფასად შეძლო ერის გამოღვიძება და გაერთიანება. დიმიტრი ყიფიანის მოწამეობრივი სიკვდილიც კი საქვეყნო მოვლენად იქცა და საბოლოოდ გამოაფხიზლა ქართველი ერი. დიდი მამულიშვილის დაკრძალვა ქართული სულის მძლავრ მანიფესტაციაში გადაიზარდა. 2007 წელს, სამშობლოსათვის შეწირული გმირი, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა წმინდანად შერაცხა. წმინდა დიმიტრი (ყიფიანი)-სამშობლოსათვის თავდადებული საქართველოს უკვდავი, თანამდევი სულია...

დიმიტრი ყიფიანს ქვიშხეთში სტუმრობდნენ ერის ისეთი შვილები, რომლებიც იდეურად მისი თანამოაზრენი იყვნენ: ილია, აკაკი დავით ჩუბინაშვილი, იოსებ იმედაშვილი და სხვები.

1881 წელს, ქვიშხეთში, დიმიტრის სტუმრებია თბილისში მცირე ხნით მყოფი დავით ჩუბინაშვილი. სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხებთან ერთად, ქართულ ენაზეც უსაუბრიათ. მის შესახებ დიმიტრი ყიფიანის წერილიდან ვგებულობთ: „ამა წლის ოქტომბრის დამდეგს, რომ ჩემს სახლში ბრძანდებოდით, მაშინ გთხოვეთ და თქვენც დამრთეთ ნება, რომ პირველად თქვენი ძვირფასად სახსენებელი სახელი ვახსენო და თქვენს მეგობარს ვუძღვნა ჩემი ნაჯღაბნი წიგნი, ეგება, თქვენ –მეგობრობით და თქვენი მაგალითით, სხვებმა – დედაენის სიყვარულით მითხრათ ან შემომითვალოთ, რასაც ეს სიყვარული და სიყვარულის ერთგულება სათქმელად ვამხილებთ იმისივე სარგებლობისათვის. თუ არა ეს გრძნობა, არც სხვა საწადელი მქონია მე ამ წიგნის წერაში"

„თუმცა დრო არ მქონდა, დროდადრო ვახერხებდი ხოლმე თბილისსა და ქვიშხეთში ყიფიანების ოჯახში შევლას... განსაკუთრებით, მძიმე განსაცდელის წუთებში, ეს იყო ჩემი და ბევრი სხვა ქართველის დასასვენებელი, მყუდრო თბილი, ტკბილი, ალერსითა და სიყვარულით გამთბარი კერა, სამშობლოს ქვეყნის ჭირ- ვარამისა და სატკბილო ამბებზე სამუსაიფო ადგილი". -წერდა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი.

როცა დიმიტრი ყიფიანის სტავროპოლში გადასახლება შეიტყო, ამ ამბით შეშფოთებული აკაკი წერეთელი სასწრაფოდ მიემგზავრება ქვიშხეთს, რათა საკუთარი თვალით ნახოს ძველი თაობის გამორჩეული მოღვაწე: „რამდენიმე ხნის წინეთ გაგზავნისა, ქვიშხეთს მიველ, ვნახე და მისმა მხირულმა სახემ გამაოგნა. ერთი იმ თავითო და მეორე ამ თავითო-, მომაყვირა სიცილით პატიმრობით დავიწყე ცხოვრება და პატიმრობითვე ვათავებო!. დაღრეჯილობა რომ შემატყო, სიცილით მითხრა: ნუ გშურს ჩემთვის ეს ღვთის წყალობა! უკეთეს ჯილდოს მე ვერც კი მოვიფიქრებდიო! ეს ერთი საუკუნეა, ქართველები ცუდკაცობისათვის იგზავნებიან ციმბირში და ჯერ იდეურად არავინ დაშჯილაო და დეე პირველი მერცხალი მე ვიყოო" ...

ხაშურთან დაკავშირებით აკაკის ერთი საინტერესო ეპიზოდია ჩვენთვის ცნობილი, საიდანაც კარგად ჩანს მისი ქართული ხასიათი, პიროვნული თვისება: „1905 წლის ზაფხულის ერთ დღეს, თბილისისაკენ მიმავალი აკაკი მიხაილოვოს (ამჟამად ხაშური) რკინიგზის სადგურის სასადილო დარბაზში იჯდა და საუზმობდა. სწორედ ამ დღეს ჩამოდგა მატარებელი და ცოტა ხნის შემდეგ ბუფეტში შემობრძანდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი, რომელიც დასასვენებლად მიემგზავრებოდა თავის მამულში- ბორჯომში. კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის დანახვაზე ყველანი წამოდგნენ, ხოლო აკაკი განაგრძნობდა დინჯად საუზმობას. „მისმა უდიდებულესობამ"ნამცხვარი მოითხოვა და ფეხზე დგომით შეუდგა ჭამას. უცებ მან თვალი მოჰკრა ჭაღამოსილ, ევროპულად ჩაცმულ მამაკაცს, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევ და მას და მშვიდად მიირთმევდა საუზმეს. გაკვირვებული დიდი მთავარი ნამცხვრის ჭამა- ჭამით მივიდა უცნობთან და აგდებული კილოთი ხმამაღლა ჰკითხა:

- Какая разниса между чэловэком и животным?

- животные стоя кушают а человек – сидяю вот какая разниса!- მოურიდებლად უპასუხა აკაკიმ და დინჯად განაგრძო საუზმობა. „მისი უდიდებულესობისათვის" ასეთი პასუხი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მას ენა ჩაუვარდა და გაოგნებული სასწრაფოდ გაშორდა აქაურობას".

აკაკი წერეთელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხაშურის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებასთან. იგი თვალს ადევნებდა აქაური ხალხის ცხოვრებასაც. მგოსანი, როგორც ყველგან, აქაც სასტიკად კიცხავდა არსებულ რეჟიმს, უუფლებობას, ძმათა გაუტანლობას, პირის გატეხვას. ამასთანავე რწმენით შეჰყურებდა ნათელ მომავალს, როცა ბოროტებას კეთილი იდეებით დაძლევდა, ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავდა. ხალხის მოჭირნახულე აკაკი უსაზღვროდ უყვარდა ხაშურის ინტელიგენციას, ბევრი ცდილობდა, ახლო ურთიერთობა ჰქონოდა მასთან. მოესმინა მისი გულში ჩამწვდომი სიტყვები, მისი ნუგეში.

1876 წლის აგვისტოში ხაშურში გამართული იქნა პირველი წარმოდგენა. ნაჩვენები იქნა ანტონოვის პიესა „ქმარი ხუთი ცოლისა", ეს იყო ხაშურის პირველი სახალხო თეატრი, რომლის ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი იყო მუშა-პოეტი სტეფანე ნოზაძე. ფსევდონიმით „ფონ–ტეფო" ე. ი. ფონეველი ნოზაძე /ფონა სოფელია ხარაგაულის რაიონში, საიდანაც იყო წარმოშობით სტეფანე ნოზაძე/. სტეფანე ნოზაძეს კლასიკური განათლება არ მიუღია, მაგრამ უებრო ნიჭის პატრონი იყო, ცოდნას თვითგანათლებით ეწაფებოდა. შემდეგში სტეფანე ნოზაძე ხაშურის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თვალსაჩინო წევრი გახდა. სტეფანე ნოზაძემ დაწერა პიესა „ობობა და ქსელი", სადაც სასტიკად ამხილა თავადაზნაურობა. პიესა მან წააკითხა ხაშურში ჩამოსულ აკაკი წერეთელს. მგოსანს მოსწონებია ეს პიესები და ზოგიერთი ადგილები შეუსწორებია კიდეც. ამით გათამამებული ნოზაძე შემდეგში თხზავდა ლექსებს, ამათრახებდა მაშინდელ მოხელეებს, მათ გაუმაძღრობას, ხალხის ჩაგვრას და სხვა. სტეფანე ნოზაძეს, როგორც სახალხო მატარებლის გამყოლს, შემდეგშიც საშუალება ჰქონდა აკაკისთან შეხვედრისა. აკაკი დიდი გულისყურით კითხულობდა მუშა-პოეტის ლექსებს, უწონებდა და უსწორებდა კიდეც. აკაკი წერეთელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხაშურის პროგრესული ინტელიგენციის ისეთ წარმომადგენლებთან, რომლებიც საყოველთაოდ იყვნენ ცნობილნი, „ხალხსნობაში" მათ შორის იყვნენ: მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი /სოფ. დირბიდან/. კოტე და ეფრო ყიფიანები /ქვიშხეთიდან/, შიო დავითაშვილი /წრომიდან/ და სხვები. პოეტი იზიარებდა მათ პროგრესულ იდეებს.

აკაკი თანაგრძნობით ეკიდებოდა ქართული თეატრალური ხელოვნების წამყვან მუშაკებს, რომლებიც ზაფხულობით სურამსა და ხაშურში მართავდნენ წარმოდგენებსა და კონცერტებს.

ხშირ შემთხვევაში ასეთი წარმოდგენები და კონცერტები საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. აქ დადგმებს მართავდნენ ხელოვნების ცნობილი მოღვაწეები: გაბუნია-ცაგარელისა, დუდე ძნელაძე, გრიგოლ სულიაშვილი, ნ. გვარაძე, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ვ. გუნია, ს. ჩერქეზიშვილი, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, შალვა დადიანი, ბ. ზარდაქიშვილი და სხვები. 1885 წლის ზაფხულში აკაკი სურამში ისვენებდა, მაგრამ მგოსანი დროს უქმად არ კარგავდა. მან მონაწილეობა მიიღო კონცერტში, რომელიც საქველმოქმედოდ ჩატარდა.

1885 წლის 21 აგვისტოს, – წერს „დროების კორესპოდენტი /იხ. „დროება" №181/ – სურამში დიდი კონცერტი გაიმართა ეკატერინე მუატის და თავად ქაიხოსრო ხერხეულიძის ინიციატივით.

კონცერტის მიზანი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის თანხების შეგროვება. დარბაზში სივიწროვისა და სიდაბლისაგან ლული და ტოთი იდგა, მაგრამ ამას ყველა ივიწყებდა, როდესაც სცენაზედ ხედავდა ხელოვნურ თამაშს ნატო გაბუნია-ცაგარელისა. ბატ. კ. ყიფიანის.

აკაკიმ წაიკითხა ომის აღწერა- საუკეთესო ადგილი „თორნიკე ერისთავიდან". სწორედ დიდი მადლობის ღირსნი არიან: აკაკი, ნატალია მერაბის ასული, კ. ყიფიანი, ს.

(გაგრძელება V გვერდზე)

ქართველი მწერლები - ხაშურში

(გაგრძელება)

ყიფიანისა, ბ. აბესაძე, პ. ყიფიანი, ს. ღონღაძე და სხვები.

გაღარიბებული სურამის საზოგადოებიდან კონცერტს იმდენი ხალხი დასწრებია, რომ შემოსავალი 26 თუმანი და შვიდი მანეთი ყოფილა".

აკაკის მოტრფიალე ხაშურის ინტელიგენცია აღფრთოვანებით შეხვდა „აკაკის კრებულის" გამოსვლას /1897 წ./, რაც მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. 1899 წლის ივნისის ნომერს დართული აქვს ხელმომწერების სახელობითი სია. 506 ხელისმომწერიდან, რომელიც ამ ჟურნალს ჰყავდა საქართველოში, აზერბაიჯანსა, სომხეთსა და რუსეთში, ხაშურის რაიონზე მოდიოდა 35 ხელისმომწერი, რა თქმა უნდა, უმთავრესად უფრო მუშებიდან.

აკაკის ჟურნალთა ხელმომწერთა შორის იყვნენ სურამიდან – ალექსანდრე კაკაბაძე, ხაშურიდან დავით კალანდაძე, ივანე, პეტრე, ტერენტი მაჭავარიანები, ალექსანდრე ცქიტიშვილი, ნესტორ ჯაფარიძე, თომა, ელეფთერ ხარაძეები, სტეფანე ნოზაძე, იოსებ ფანცულაია და სხვები.

1897 წლიდან ხაშურში რეგულარულად იწყო მუშაობა დრამატულმა კოლექტივმა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თბილისიდან ჩამოსული, განათლებული რკინიგზელი მუშა იოსებ ფანცულაია, იგი დიდი პატივისცემით აგროვებდა აკაკის კრებულზე ხელისმომწერებს. ფანცულაია არ დასჯერდა მარტო ამ ჟურნალის გავრცელებას. მისივე ინიციატივით, ხაშურის სარკინიგზო ბიბლიოთეკა-

ში, რომელიც მხოლოდ რუსული წიგნებისაგან შედგებოდა, შეიქმნა ქართული განყოფილება. აქ, ბიბლიოთეკაში, „აკაკის კრებულს" გარდა, თავმოყრილი იყო სხვა ქართული წიგნები, რასაც დიდი ინტერესით ეწაფებოდა ხაშურელი ახალგაზრდობა.

როგორ დაუახლოვდა აკაკი წერეთელი ხაშურელ ინტელიგენციას?

საჩხერელ ბეჟან წერეთელს ცოლად გაჰყვა ხაშურის რაიონის სოფელ სატივეში მცხოვრები ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული ნიცა /ნინო/. იგი უაღრესად შინაარსიანი, ნათელი გონების და ფართო საზოგადოებრივი აზროვნების ადამიანი იყო. ნიცას მეოხებით, ბეჟანის ოჯახი იყო მაშინდელი ქართველი პროგრესული ინტელიგენციის თავშესაფარი საჩხერეში, სადაც საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმიანობის ბევრი აქტუალური საკითხი იხილებოდა.

ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის სიძე იყო აგრეთვე ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვანო მაჩაბელი. იგი ზაფხულობით მთელი ოჯახით ესტუმრებოდა ხოლმე ბეჟან წერეთელს საჩხერეში და აკაკი წერეთელიც მათთან ატარებდა დროს. არცერთ ოჯახთან არ ყოფილა აკაკი ისე დაახლოებული, როგორც ბეჟანის ოჯახთან. ბეჟანის შვილები – მათ შორის ივლიტე, აკაკის ხელში იყვნენ გაზრდილნი და აკაკის ხელითვე „განათლულნი".

ბეჟანისა და ვანო მაჩაბლის ოჯახში პოულობდა აკაკი იმ სულირ საზრდოს, იმ შინაგან მყუდროებასა და სითბოს, რასაც იგი მუდამ მოკლებული იყო საკუთარ ოჯახში. აკაკი წერეთელი გარდა იმისა, რომ საკმაო დროს ატარებდა საჩხერეში, ბეჟან წერეთლის ოჯახში, იგი სატივეში ბეჟან წერეთლის სიმამრის ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის ხშირი სტუმარიც იყო.

ბეჟან წერეთლის მეუღლეს ნიცას, უმცროს დას, ბაბო ბაგრატიონს, აკაკიმ უმშვენიერესი ლექსი „ტუჩმარჯანა" უძღვნა. აკაკის რძლად /ალექსანდრესათვის/ უნდოდა იგი, მაგრამ დიდი მგოსანის განზრახვა ბაბოს ნაადრევმა სიკვდილმა ნაშალა. აი, ეს ლექსი, რომელიც 1898 წელსაა დაწერილი:

„თვალციცმციმა, კბილებბროლა,
პაწაწკუნა ტუჩმარჯანა, –
ზოგჯერ წმინდა ცეცილია,
ხან ეშმანკი, ვით სატანა.
დალაციცობს, ყველას ხიბლავს,
ხელოვნურად უხლართვს გზებს,
მარჯვნივ ელავს, მარცხნივ ქსელავს
და შიგ აბამს, როგორც ბუზებს.
ფრთხილად! ფრთხილად! არ შეგრჩება...
გადაგხდება, ტუჩმარჯანა!
თვისვე ქსელში რომ გაება,
ბევრი ვნახეთ შენისთანა!
შენც დაგიჭერს ერთი ვინმე,
რომ არ ფიქრობ-იმისთანა
და მაშინ კი აგეხსნება
სიყვარულის გამოცანა.
სილამაზე, სიჭაბუკე,
მომხიბლავი კაცის გულის,
ედემს ქმნილი, ცაში თლილი,
აკვანია სიყვარულის.
და გვირგვინი კი მისივე
დედობაა და ცოლობა,
მინდა დაჭკნეს, გაცამტვერდეს
მშვენება და ყმაწვილობა.
მაგრამ გვირგვინს ვერ იტვირთებს,
ჩემო კარგო ტუჩმარჯანა,
ვინც უარყო მისი ქვეყნის
ბიბლიური ანაბანა."

ბეჟან წერეთლის ოჯახს დიდი მწუხარება დაატყდა თავს. 1896 წლის 7 მარტს, სატივეში, გარდაიცვალა პატარა ივლიტე წერეთელი /იგი დაბადებულია 1885 წლის 9 ღვინობისთვეს/. ივლიტე დასაფლავებულია სატივეში ბაგრატიონ-დავითაშვილების საძვლე ეკლესიაში დასავლეთის კედელთან. კედელში დატანებული იყო შავი მარმარილოს დაფა, რომელზეც ამოკვეთილია აკაკის მიერ დაწერილი ლექსი:

„იხარე ანგელოსთ გუნდში
ვარსკვლავო მოსხივ-ცისკარე!
ლიტანიობდე ამიერ
ეთერზე ფრთებ-მოელვარე!
წახველ უდროოდ ამ სოფლით
ედემის ნორჩი ყვავილი,
რომ შენი ხსოვნა შენ მშობლებს
ეკლად დაესოს მწარ-ტკბილი.
თანამავალო ვარსკვლავთა
ელვარებითა დიდობით...
ლიტანიობით ცის გულში
იმხიარულე!... მშვიდობით!..

აკაკი

საფლავზე გაკეთებულ წარწერაში ნათქვამია:
„დაიბადა 9 ღვინობისთვეს 1885 წ.
მიიცვალა 7 მარტს 1896 წელს".

„თ-დ ბეჟან დავითის ძის წერეთლის და მისი მეუღლის ნინო-ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილის ქალის ასული ივლიტე".

ლექს „სახსოვარში", აკროსტიხისათვის, აკაკი იყენებს ლექსის ყველა სტრიქონის პირველ ასოს და პირველი სტროფის მესამე სტრიქონის პირველ სამ ასოს, რომლებიც დედანში ხაზგასმულია ავტორის მიერ. ამგვარად იგი იკითხება: "ივლიტე წერეთელი". დროთა განმავლობაში აკაკი წერეთლის ლექსი „სახსოვარი", რომელიც ამოკვეთილია შავი მარმარილოს დაფაზე, დაუმტვრევიათ. ნამტვრევები შეგროვებულია, აღდგენილი და დაცულია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ივლიტეს გარდაცვალებიდან ხუთი წლის შემდეგ, ბეჟან წერეთლის ოჯახს კვლავ მწუხარება დაატყდა თავს ვაჟის – ალექსანდრეს გარდაცვალების გამო. ალექსანდრე სოფელ სხვიტორში დაუსაფლავებიათ. ალექსანდრეს საფლავზე დადგმული ძეგლის მარმარილოს შავ დაფაზედაც ამოკვეთილია აკაკის მიერ დაწერილი ლექსი „სახსოვარი". ამ ლექსში მგოსანი კვლავ იხსენებს წინათ გარდაცვლილ ივლიტეს:

„მშობლების გულში ამღზნები,
გავხდი ცეცხლისა მწველისა,
მოვწყდი ამ სოფელს უდროოდ,
ვითა ყვავილი ველისა.
ანგელოზთ გუნდსა მივმართე,
იქ დამხვდა ლიტა ელვარე,
და მაღლით ერთად ორივე
ვართ ქვეყნის მოსხივციისკარე,
რომ თან გადმოჰყვეს ჩვენს სხივებს
ძალი და მადლი ზეცისა,
გასაქართვებლად ქვეყნიურ
ჭირისა მრავალ კაცისა.

აკაკი".

მგოსანს ძლიერ ებრალებოდა ნიცა /ნინო/ ბაგრატიონ-დავითაშვილის ასული, ბეჟან წერეთლის მეუღლე, რომელმაც ესოდენ დიდი მწუხარება განიცადა ქალ-ვაჟის უდროოდ დაკარგვის გამო. აკაკი წერეთელი იშველიებს "სულის უკვდავებასაც", "ქრისტეს ბეჭედსაც", ოღონდ ნიცა წერეთელს რამდენადმე მაინც შეუმსუბუქოს მწუხარება.

წერს ლექსს ნიცას სახელზე:

„რომ დაგიტკბეს ნაღველ-ძმარი,
გულში შხამად ნაგუბარი.
გწამდეს სულის უკვდავება,
მეცნიერის ნაუბარი.
ვინც მოგშორდნენ დროებითად,
ნუ გგონია დაკარგული,
გადაცვლით და განსვენებით
ელვარეობს მხოლოდ სული.
რაც ყოფილა... რაც არსებობს,
არა ჰქრება, თუმც იხრწნება,
საუკუნო უკვდავება
ქრისტეს ბეჭდით იმოწმება.

/1898 წ./"

თავად მიხეილ ამირაჯიბის ოჯახი, მეტად განათლებულ ოჯახად ითვლებოდა სოფელ ავლევში. თვითონ მიხეილ ამირაჯიბმა რუსეთ-თურქეთის ომში /1877-1878 წ.წ./ გენერლის წოდება მიიღო. მიხეილის შვილი კოსტა ამირაჯიბი – პროფესორი და საქართველოში პირველი მექანიზატორი /გარდაიცვალა 1948 წელს/ საყოველთაოდ არის ცნობილი.

მიხეილ ამირაჯიბის მეუღლე სოფიო ამირაჯიბი განათლებული ქალი და საზოგადო მოღვაწე იყო. მიხეილ ამირაჯიბის ოჯახი კარგ განწყობილებაში იყო ადგილობრივ გლეხობასთან. კოსტა ამირაჯიბის თაოსნობით სოფელში დაარსებული იყო სასოფლო-სამეურნეო სკოლა, სართავ-საქსოვი საამქრო, სასოფლო-ელექტრო სადგური და სხვა.

აკაკი წერეთელი კარგად იცნობდა ამირაჯიბების ოჯახს, ერთ-ერთი წვეულების დროს ნასიამოვნებმა მგოსანმა ლექსიც მიუძღვნა სოფიო ამირაჯიბს.

სოფიო და მიხეილ ამირაჯიბებს საკუთარი კერა ჰქონდათ მოსკოვშიც, სადაც მათი ორი ქალიშვილი, ბარბალე და ანასტასია, სწავლობდა. სოფიო ამირაჯიბი მეტ დროს მოსკოვში ატარებდა. მათ კერაზე ხშირად იკრიბებოდა მოსკოვში ქართველი ახალგაზრდობა და ოჯახიც გულითადად მასპინძლობდა მათ.

მოსკოვში ყოფნისას, სოფიო ამირაჯიბმა ფართოდ გაშალა თავისი შემოქმედებითი მუშაობა. მან, 1909 წელს, რუსულად თარგმნა და მოსკოვში გამოსცა ქართველი პოეტების ლექსთა კრებული. აკაკი წერეთელს ურთიერთობა ჰქონდა სოფელ ბრილში მცხოვრებ თავად ნიკო დიასამიძესთან /1845/1897 წ./ დიასამიძე იყო იმ დროში საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე. მას განსაკუთრებით დიდი ამაგი მიუძღვის გორში ქართული თეატრის ჩამოყალიბების საქმეში. გორში მან თეატრს თავისი საკუთარი შენობაც კი დაუთმო. ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევა სოფრომ მგალობლიშვილი.

ნიკო დიასამიძე იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი თბილისში ქართული დრამატული საზოგადოებისა. იგი მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო ქართველ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეების ერთ ნაწილთან. ჩვენამდე მოღწეულია ცნობები, რომ აკაკი წერეთელს მასთან სტუმრობა ჰქონია ბრილში /სოფლად/ და გორშიც. ნიკო დიასამიძე ცხოვრობდა თბილისშიც. იქ, მის სახლში იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები და იმართებოდა ეგრეთწოდებული "ლიტერატურული ორშაბათობა". აღსანიშნავია ისიც, რომ ნიკო დიასამიძის ვაჟი გრიგოლ დიასამიძე ამ დროისათვის საკმაოდ ცნობილი მოღვაწე და ჟურნალისტი, გაზეთ "თემის" რედაქტორი იყო. აკაკი წერეთელი მეგობრობდა გრიგოლ დიასამიძესაც და პოეტი გაზეთ "თემის" მუდმივ თანამშრომლად ითვლებოდა. მაგრამ მოხდა სულ სხვა გაუთვალისწინებელი ამბავი. 1884 წელს, სოფელ ბრილში, თავად ნიკო დიასამიძის მამულს რომ მიჯნავდნენ, თავადმა დიასამიძემ განაცხადა: რადგან თავადებისა და გლეხების მიწები ერთმანეთში არეულია და საზარალოა, - საჭიროა გლეხების "სანადელო" მიწების განცალკევებაო. ამ ამბავმა სოფელ ბრილის გლეხობაზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. მემამულე დიასამიძე და გლეხობა ერთმანეთს შეეჯახა და მოხდა არეულობა. საქმეში მეფის მთავრობა ჩაერია. გაჩხრიკეს რამდენიმე ოჯახი და საქმის მოთავენი საჯარიმო ასეულში გაგზავნეს, ადგილობრივ ციხეში კი 14-მდე კაცი ჩასვეს.

1889 წელს სოფ. ბრილში "ეგზეკუცია" ჩადგა, რის გამოც გლეხობას მეტად დიდი ზარალი მოუვიდა. მეფის მთავრობამ კვლავ უსასტიკეს ზომებს მიმართა, თავადის სასახლეში გამრავლდა შეიარაღებულ ჩეჩენთა რიცხვი. უმოწყალოდ სცემდნენ ხალხს. ამას მოჰყვა წყაროს დაკეტვა და მთელი სოფლის უწყლოდ დატოვება.

ნიკო დიასამიძემ განსაკუთრებით შეავიწროვა ბრილელი გლეხი ბესო იმერლიშვილი. "სახლი არ შემარჩინა და კარი, ერთი უღელი ხარი მყავდა და ისიც წამართვა" – ამბობდა იგი. და განიზრახა თავად ნ. დიასამიძის მოკვლა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი /1897 წ./ დიასამიძის მკვლელობის მონაწილე 4 ახალგაზრდა გლეხი: 25 წლის ბესო იმერლიშვილი, 21 წლის სარდიონ ქართველიშვილი, 25 წლის გაბო იმერლიშვილი, 24 წლის ლექსო ჩუბინიძე დააპატიმრეს და გააგზავნეს გორში.

საოლქო სასამართლომ ოთხივე ბრალდებულს ათ-ათი წლის კატორღა მიუსაჯა.

სოფელ ბრილის გლეხთა საქმემ უდიდესი კვალი დატოვა გლეხთა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე ქართლში.

აკაკი წერეთელი გულისტკივილით შეხვდა ნიკო დიასამიძის მკვლელობას და სამახსოვრო ლექსი მიუძღვნა მას. მგოსანი აქებს რა დიასამიძეს, არ მალავს აგრეთვე იმას, რომ იგი ფიცხი იყო და სწორედ ეს თვისება გახდა მისთვის საბედისწერო.

ნიკო დიასამიძის სახსოვრად

ქალაჩუნა, ენატკბილი,
გაიძვერა მოუბარი,
ყველას მოსწონს ცხოვრებაში
და ბევრიც ჰყავს მეგობარი...
პირში – მოქმელი, უბოდიშო,
თავმომწონე, უშიშარი
ბევრს არ უყვარს, რა თქმა უნდა
და ცოტაც ჰყავს მეგობარი...
ესეები ყველა ვიცი
მოვლილი მაქვს მთა და ბარი,
კარგად ვატყობ, სადაც არის
უპირბადო მეგობარი.
შენც გიცნობდი... ფიცხი იყავ,
თავგამწევი, მეტი ჩქარი,
მაგრამ ძვირად შემხვედრია
შენებრ წმინდა მეგობარი...
ლხინში კარგი, ჭირში მარგი,
პირის-კაცი უტყუარი,
სიმართლის დროც საიდუმლოდ
თვით მტრებისაც მეგობარი!
საზოგადო ჩვენი საქმის
თანამგრძნობი უებარი,
ავის მტერი სიტყვით, ქცევით
კარგის-გულით მეგობარი.
კარგი მუშა, მეოჯახე
კარგ ცოლ-შვილზე გადამკვდარი,
მეზობელი მეზობლების
მოყვარული... მეგობარი
ერთი ხიდან გაკეთდება
როგორც ჯვარი, ისე ბარი,
ხშირად ერთ და იმავ საქმეს
მტერიც ჰყავს და მეგობარი...
და შენც ძმაო, ღალატობამ
საქმე გიყო საოცარი:
მტრებს შეასხა ფრთები მხოლოდ
და ცრემლებს ღვრის მეგობარი.
მაგრამ მაინც შეუნდევ მტრებს,
მოიგონე მაცხოვარი!
ის, ვინც იყო განურჩევლად
მტრის და მოყვრის მეგობარი.

მაყვალა ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სახლ-მუზეუმში, გამოფენა გაიმართა

იაპონელი მკვლევრის ჰარადა ტაკეჰიდეს ნამუშევრები, რომლებიც ფიროსმანის თემატიკას ეძღვნებოდა, მუზეუმის საგამოფენო სივრცეში იყო წარმოდგენილი.

„წმინდა ფიროსმანი“ გახსნეს და იაპონელი მკვლევრის შესახებ

დამთვალიერებლებს ინფორმაცია მიაწოდეს დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელმა რეზო ნოზაძემ, კლარა გელაშვილმა, იაპონიის საელჩოს წარმომადგენელმა რუსუდან გვერწითელმა.

„დღევანდელი გამოფენა საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 30 წლის იუბილეს აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში ეწყობა. იაპონია და საქართველო უძველესი, ტრადიციული კულტურის ქვეყნებია. ამიტომ ჩვენს სახელმწიფოთა შორის ბუნებრივად ჩამოყალიბდა ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორობა. დღევანდელი გამოფენა ძალიან შთამბეჭდავია და სასიხარულოა, რომ იაპონელი მკვლევარი ქართველებისთვის ძალიან სათუთი თემატიკით დაინტერესდა“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

„სიმბოლურია, რომ დიმიტრი ყიფიანის სახლი ყოველთვის იყო ადგილი, სადაც აქტიური ლიტერატურული, შემოქმედებითი, მთარგმნელობითი პროცესები მიმდინარეობდა, ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“-აღნიშნა ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარემ

ნინო ლიპარტელიანმა.

აღსანიშნავია, რომ 1978 წელს ტაკეჰიდე ჰარადა ჩართული იყო გიორგი შენგელაიას ფილმის „ფიროსმანის“ იაპონურ პრემიერაში. 24 წლის ასაკში იგი ისე მოიხიბლა ამ ფილმით და იმდენად დაინტერესდა მხატვრის ცხოვრებით და შემოქმედებით, რომ მას შემდეგ ფიროსმანი არასოდეს გამქრალა მისი ხსოვნიდან და შემოქმედებიდან.

გამოფენასთან ერთად, გაიმართა თსუ-ს იაპონური ენის ლექტორის თათია მემარნიშვილის ლექცია იაპონური ლიტერატურის შესახებ.

გამოფენამ უკვე იმოგზაურა სიღნაღის ეროვნულ მუზეუმში, თბილისის ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმში, დავით კაკაბაძის სახელობის ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტორულ მუზეუმში.

„წმინდა ფიროსმანი“ ქვიშხეთში 15 აგვისტომდე დარჩება და ყველა მსურველს ექნება დათვალიერების შესაძლებლობა.

<u>თანასწორობა</u>

ვიზიტი კასპში - გამოცდილების გაზიარების მიზნით

შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის შემუშავების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები ვიზიტით იმყოფებოდნენ კასპში და გამოცდილების გაზიარების მიზნით, შეხვდნენ სოციალური საწარმო „წნულის“ დამფუძნებელს დავით პარკაძეს. შეხვედრას კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შოთა ბეგლარაშვილმა უმასპინძლა.

სოციალური საწარმო „წნული“ 2016 წელს დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაცია „კასპის შშმ პირთა კავშირის“ თაოსნობით. საწარმოში დასაქმებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 10 პირი. თითოეულმა შეისწავლა უძველესი ტრადიციული

ხელსაქმე, კალათების და სხვადასხვა სახეობის ნივთების დაწვნა. სოციალური საწარმო დასაქმებულ პირებს სთავაზობს მათ საჭიროებებზე მორგებულ სამუშაო სივრცეს.

ვინაიდან სოციალური საწარმო იდეის ეტაპზეა, დავით პარკაძემ სტუმრებს გაუზიარა გამოცდილება ბაზრის კვლევის, პროექტების წერის, მარკეტინგის და სამომავლო სტრატეგიების დაგეგმვის შესახებ. თავიდან დამფუძნებელთა ჯგუფმა დაიწყო ინფორმაციის მოძიება შშმ პირთა შესახებ, მათი რაოდენობის, შესაძლებლობების დადგენის მიზნით. დადიოდნენ სოფელ-სოფელ და მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებთან, რომ გასულიყვნენ სახლიდან და ახალი შესაძლებლობები აღმოეჩინათ საკუთარ თავში.

15-20 ჯერ მოუვიდათ უარი წარდგენილ პროექტებზე საერთაშორისო თუ ქართველი დონორებისგან. თუმცა არ დანებდნენ. ერთ-ერთი პირველი დაფინანსება მიიღეს ფინური ფონდიდან „ებილი“, ამას მოჰყვა „საქართველოს ბანკი“ და „ევროპის ფონდი“. მუშაობა დაიწყეს სატესტო რეჟიმით 3 თვე. ეს იყო ხელობის შესწავლა და საკუთარი ძალების მოსინჯვა. 3 თვის შემდეგ ისწავლეს 11 სხვადასხვა სახეობის პროდუქციის მოწვნა. მონაწილეობდნენ სხვადასხვა გამოფენებში, სადაც ყველაფერი გაიყიდა. მიიღეს 260 000 შემკვეთის შეტყობინება პროდუქციაზე. ეს იყო სერიოზული გამოწვევა, რადგან ამისთვის მზად არ იყვნენ, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია მომხმარებელში.

მოგვიანებით შეცვალეს განვითარების სტრატეგია. მიიღეს გადაწყვეტილება საწარმოში შშმ პირებთან ერთად დაესაქმებინათ ახალგაზრდები, ყოფილი პატიმრები და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანები. თანამდეროვე ეტაპზე საწარმო ასაქმებს 150 ბენეფიციარზე მეტს მოდინება-გადინების რეჟიმით. დღეს ესაა რკინის, ხის და წნულის საამქრო. პერმანენტულად ახდენენ ბაზრისთვის ახალი პროდუქციის შეთავაზებას: ბუდე-საქანელები, სივრცითი ავეჯი, ხეზე დაწვნა და ა.შ.

უსინალოთათვის ცალკე მიმართულება აქვთ. მუდმივად ახდენენ რეინვესტირებას. გეგმავენ ნედლეულის კულტივაციას. მთავარი გამოწვევაა ადაპტირებული ტრანსპორტი.

ბატონი დავითი თვლის, რომ უმთავრესია ამ ადამიანების ნდობის მოპოვება, ყველაფერი შშმ პირებთან ერთად უნდა დაიგეგმოს და გადაწყვეტილების მიღების პროცესშიც აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი. რაც შეეხება იმას, თუ რა პროდუქციის დამზადებას გვირჩევს, ეს უნდა იყოს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ისტორიული და ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქტი.

დაისახა შშმ პირთა ერთობლივი საბჭოს შექმნის და თანამშრომლობის პერსპექტივები. „წნულის“ გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია ხაშურის მუნიციპალიტეტის შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი სამუშაო ჯგუფისთვის, რომლის მიზანია შშმ პირებისა და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიული განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, მათი სამუშაო უნარების განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა, რისთვისაც ერთ-ერთი ამოცანაა, როგორც სერვისის მიმწოდებელი, ისე დამსაქმებელი სოციალური საწარმოს დაფუძნება.

ირინე გოგიტაური

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.